

სკოლის გართვა

#2, 2024

»» **ციფრული
მოქალაქეობის
შესახებ
განათლების
განვითარება და
ხელშეწყობა**

რეკომენდაცია CM/REC(2019)10

ISSN 1512-0279



9 771512 027007 >



განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო



სსიპ მანსაველაძეთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი



მოსწავლეთა მონაწილეობა სკოლის დემოკრატიულ მმართველობაში

*პრაქტიკული გზამკვლევი
სკოლებისთვის*

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

ახალი გზამკვლევი სასკოლო საზოგადოებისთვის
„მოსწავლეთა მონაწილეობა სკოლის დემოკრატიულ მმართველობაში“

სკოლის გართვა

#2, 2024

გამომცემელი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

სარედაქციო კოლეჯია

გვიგა შუპაკიძე

განათლების დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

მაია სპაივაშვილი

სოციოლოგიის დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ანალიტიკური სამსახურის უფროსი

ნატალია ივნიკოვა

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო-საგანმანათლებლო და მეთოდური რესურსების პროგრამის მენეჯერი

თეონა სილაგაძე

დემოკრატიული კულტურის, ადამიანის უფლებების სწავლებისა და სასკოლო ქსელების (eTwinning) გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის კოორდინატორი

დინის წურუშია

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის შიდა აუდიტის სამმართველოს უფროსი, განათლების სამართლის მკვლევარი

პასა ჩხარტიანი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსი

მთავარი რედაქტორი:

ნათია ნაცვლიშვილი

კორექტორი:

მაია შიპაშვილი

ფოტოგრაფი:

გელა გულიაშვილი

დიზაინერი:

გისიკ ლაწავიანი

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

მისამართი:

თბილისი,

ზურაბ ანჯაფარიძის II შესახვევი N6

ელფოსტა: skolismartva@tpdc.ge

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედაქციის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1512-0279

www.tpdc.ge



ნათია ნაცვლიშვილი



მთავარი რედაქტორის სპეში

ჩვენი ჟურნალის ამ ნომერს განსაკუთრებული, ექსკლუზიური მისია აქვს – წარმოგიდგინთ ევროპის საბჭოს რეკომენდაციას CM/Rec(2019)10 – „ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების განვითარება და ხელშეწყობა“, რომელიც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2020 წლის 21 ნოემბერს დამტკიცდა და მიზნად ისახავს წევრი ქვეყნების მხარდაჭერას განათლების სისტემების ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით.

ჩვენს უკიდურესად სწრაფადგვალეზად ეპოქაში ერთ-ერთი გარდაუვალობა, რასაც კაცობრობამ თვალის უნდა გაუსწოროს, ციფრული სამყაროს გავლენის ზრდაა. ასეთ რეალობას, ბუნებრივია, ციფრულად კომპეტენტური მოქალაქეები სჭირდება, რომელთა სათანადო კომპეტენციებით აღჭურვაც სწორედ განათლების პასუხისმგებლობაა.

თუ გადავხედავთ ჩვენი ჟურნალის 2023 წლის მესამე ნომერს, ევროპის საბჭოს განათლების სტრატეგიის ერთ-ერთ მიმართულებად სწორედ ციფრული ტრანსფორმაციის გზით ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული განათლების სფეროს განვითარებას აღმოვაჩინებთ. სტრატეგიის ამ მიმართულების ერთ-ერთ საფუძველს კი სწორედ წინამდებარე ნომრის ექსკლუზიური შინაარსი – „ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების განვითარება და ხელშეწყობა“ – ევროპის საბჭოს წინამდებარე რეკომენდაცია წარმოადგენს.

მოცემული რეკომენდაცია აყალიბებს ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების მიზანსა და სფეროს, გვთავაზობს აუცილებელი ტერმინების განმარტებებს, სახელმძღვანელო პრინციპებს, მიმართულებებს სწავლის, სწავლებისა და შეფასების თვალსაზრისით, დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობის შესაძლებლობებსა და ინსტრუქციებს.

იმედს ვიტოვებთ, რეკომენდაციაში მოცემული შინაარსი დაეხმარება საქართველო განათლების სისტემას, ციფრული მოქალაქეობის სათანადოდ დანერგვასა და 2025 წლისთვის მზადებაში, რომელსაც ევროპის საბჭო, კონტინენტის მასშტაბით, ციფრული მოქალაქეობის წლად აცხადებს.

05

რეკომენდაცია CM/REG(2019)10

10

დანართი რეკომენდაციის CM/REG(2019)10 – ციფრული მოქალაქეობის შესახებ
განათლების განვითარება და ხელშეწყობა

ციფრული მექალაქების შესახებ განათლების განვითარება და ხელშეწყობა

რეკომენდაცია CM/REC(2019)10

დამტკიცებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ,
2020 წლის 21 ნოემბერს



ევროპის საბჭო

პირველი ქართული გამოცემა, 2024

მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი

მთარგმნელი: მაია გვიტიძე

წინამდებარე გამოცემაში შესული
ნებისმიერი ტექსტის გამრავლება დასაშვებია
მხოლოდ იმ პირობით, თუ მითითებული
იქნება წყარო, სახელდობრ, ევროპის
საბჭო და მოცემული იქნება წინამდებარე
გამოცემის სათაური სრულად. გამოცემაში
შესული ნებისმიერი ტექსტის კომერციული
მიზნით გამოყენების ან იმ ენაზე თარგმნის
შემთხვევაში, რომელიც არ წარმოადგენს
ევროპის საბჭოს ოფიციალურ ენას, საჭიროა,
დაუკავშირდეთ შესაბამის უწყებას, შემდეგ
ელექტრონულ მისამართზე: publishing@coe.int.

© ევროპის საბჭო, 2020 წლის ნოემბერი

რეკომენდაცია

CM/REC(2019)10

(დაშტამპებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ,
2019 წლის 21 ნოემბერს, მინისტრთა მოაღვიწვევის 1361-ე სესიონზე)

ევროპის საბჭოს წესდების მე-15 მუხლის ბ) პუნქტის თანახმად, მინისტრთა კომიტეტი,

ითვალისწინებს რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრ სახელმწიფოებს შორის უფრო დიდი ერთობის მიღწევა, იმ იდეალებისა და პრინციპების დაცვისა და პოპულარიზაციის უზრუნველსაყოფად, რომლებიც მათ საერთო მემკვიდრეობას წარმოადგენს, მათ შორის, საერთო პოლიტიკისა და სტანდარტების ხელშეწყობის გზით;

ადასტურებს რა წევრი სახელმწიფოების ვალდებულებას, უზრუნველყონ თითოეული მოქალაქის თანაბარი და ინკლუზიური წვდომა განათლებაზე და განათლების უფლებით სარგებლობის შესაძლებლობებზე, როგორც ეს განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციითა (ETS No. 5) და მისი ოქმებით, და რომ ეს უფლება სრულად იყოს გათვალისწინებული, დაცული და შესრულებული, ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ;

მხედველობაში იღებს რა წევრი სახელმწიფოების მიერ სხვა სათანადო საერთაშორისო და ევროპული კონვენციების შესაბამისად აღებულ ვალდებულებებსა და მოვალეობებს, როგორებიცაა ევროპის კულტურული კონვენცია (ETS No. 18), ევროპის სოციალური ქარტია (შესწორებული ვერსია) (ETS No. 163), კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ (ETS No. 108) და ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ (CETS No. 201);

მხედველობაში იღებს რა ევროპის საბჭოს „დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს“ დებულებებს;

მხედველობაში იღებს რა წევრი სახელმწიფოებისადმი მინისტრთა კომიტეტის მიერ გაცემულ რეკომენდაციას CM/Rec(2012)13, ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად; დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ ევროპის საბჭოს ქარტიასთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოებისადმი მინისტრთა კომიტეტის მიერ გაცემულ რეკომენდაციას CM/Rec(2010)7; და წევრი სახელმწიფოებისადმი მინისტრთა კომიტეტის მიერ გაცემულ რეკომენდაციას CM/Rec(2007)6, უმაღლეს განათლებასა და კვლევაზე საერთო პასუხისმგებლობის შესახებ;

მხედველობაში იღებს რა წევრი სახელმწიფოებისადმი მინისტრთა კომიტეტის მიერ გაცემულ რეკომენდაციას CM/Rec(2018)7, ციფრულ გარემოში ბავშვის უფლებების პატივისცემის, დაცვისა და განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ; წევრი სახელმწიფოებისადმი მინისტრთა კომიტეტის მიერ გაცემულ რეკომენდაციას CM/Rec(2017)8 კულტურის, წიგნიერებისა და დემოკრატიის დიდი მონაცემების შესახებ; წევრი სახელმწიფოებისადმი მინისტრთა კომიტეტის მიერ გაცემულ რეკომენდაციას CM/Rec(2016)2 მოქალაქეთა საერთაშორისო ქსელის შესახებ; და ევროპის საბჭოს სტრატეგიას ბავშვთა უფლებების შესახებ (2016-2021 წწ.);

ითვალისწინებს რა ევროკომისიის ციფრული განათლების სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებს, კერძოდ, განათლების სფეროში ტექნოლოგიების გამოყენებისა და ციფრული კომპეტენციების განვითარების მხარდასაჭერ ღონისძიებებს;

ითვალისწინებს რა 2030 წლისთვის გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს და, განსაკუთრებით, მდგრადი განვითარების მე-4 მიზანს, რომელიც გულისხმობს ყველასათვის ინკლუზიური და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფასა და უწყვეტი (მთელი სიცოცხლის მანძილზე) სწავლის შესაძლებლობების ხელშეწყობას;

ითვალისწინებს რა იუნესკო-ს ღია საგანმანათლებლო რესურსების შესახებ დეკლარაციას (2012 წ.) და ღია საგანმანათლებლო რესურსების შესახებ იუნესკო-ს რეკომენდაციის პროექტს, რომელიც წარდგენილია 2019 წლის ნოემბერში, რიგით მე-40 გენერალურ კონფერენციაზე დასამტკიცებლად; მასწავლებელთა ციფრული კომპეტენციის ევროპულ ჩარჩოსა (2017 წ.) და მოქალაქეთა ციფრული კომპეტენციის ჩარჩოს (2017 წ.); ევროკომისიის ანგარიშს სწავლაზე, სწავლებასა და განათლებაზე ხელოვნური ინტელექტის გავლენის შესახებ (2018 წ.) და მოხსენებას სახელწოდებით „ხელოვნური ინტელექტი – სამუშაოს მომავალი? მომავლის სამუშაო!“ იმის შესახებ, თუ როგორ გარდაქმნის ხელოვნური ინტელექტი, რობოტიკა და ავტომატიზაცია სამუშაოებსა და ეკონომიკას ევროპაში (2019 წ.); და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) საბჭოს რეკომენდაციას ხელოვნური ინტელექტის შესახებ (2019 წ.), რომელიც ეფუძნება ადამიანზე ორიენტირებული ღირებულებებისა და

სამართლიანობის პრინციპებს და ადგენს, რომ ხელოვნური ინტელექტით დაინტერესებული მხარეები პატივს უნდა სცემდნენ კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიულ ღირებულებებს, ხელოვნური ინტელექტის სისტემის არსებობის სრული ციკლის განმავლობაში;

აცნობიერებს რა ციფრული გარემოსა და თანამედროვე ტექნოლოგიების სირთულესა და განვითარების სწრაფ ტემპსა და ჩვენი ცხოვრების ყველა ასპექტზე, საზოგადოებებსა და ეკონომიკაზე, ასევე, განათლებაზე, გამოხატვის თავისუფლებასა და მოქალაქეთა პროცესებში მონაწილეობაზე მათი ზეგავლენის მასშტაბებს;

აცნობიერებს რა, რომ ციფრული გარემო ადამიანებს თვითგამოხატვის, შეკრებისა და მონაწილეობის უპრეცედენტო საშუალებას აძლევს და ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიის გაუმჯობესების ახალ შესაძლებლობებს უხსნის გზას, რაც წარმოადგენს დემოკრატიის კულტურის საფუძველს და დემოკრატიულ ინსტიტუტებს სათანადოდ ფუნქციონირების საშუალებას აძლევს;

ხაზგასმით აღნიშნავს რა, რომ მოქალაქეების აღჭურვა დემოკრატიული კულტურისთვის საჭირო ტექნიკური და ფუნქციონალური უნარებითა და კომპეტენციებით და, ასევე, აღნიშნულ გარემოში წარმოშობილი და თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებული შესაძლებლობებით სარგებლობა, რაც საშუალებას აძლევს მათ, გაუმკლავდნენ ციფრული გარემოდან და თანამედროვე ტექნოლოგიებიდან მომდინარე გამოწვევებსა და რისკებს, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი აღნიშნული რისკებისგან დაცვა და უსაფრთხოება;

ითვალისწინებს რა, რომ ციფრული მოქალაქეობის შესახებ სწავლება ხელს უწყობს გენდერულ სტერეოტიპებზე დაფუძნებული დისკრიმინაციისა და მიკერძობის, ასევე, რეალურ და ონლაინსივრცეში მათი ზემოქმედების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და, ამგვარად, უზრუნველყოფს უფრო მეტი საგანმანათლებლო შესაძლებლობების შექმნას გოგონებისა და ქალებისთვის, მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) სფეროში და წარმოადგენს მყარ გარანტიას იმისა, რომ ყველა მოქალაქე სრულად სარგებლობდეს ციფრული რევოლუციით;

მხედველობაში იღებს რა, რომ განათლების სექტორი საჭიროებს მრავალი დაინტერესებული მხარის ჩართულობასა და ერთიან პოლიტიკურ მიდგომას, რომელიც ასევე ვრცელდება ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლებაზე, რაც მრავალფეროვანი საზოგადოების საჭიროებების დაკმაყოფილებას ემსახურება;

დარწმუნებულია რა პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირებისათვის ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების პრიორიტეტად ჩამოყალიბების მნიშვნელობაში,

1. გასცემს რეკომენდაციას, რომ წევრ სახელმწიფოთა მთავრობებმა:

- ა. აწარმოონ საკუთარი კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის, მათ შორის, საგანმანათლებლო ჩარჩოების გადასინჯვა, წინამდებარე გამოცემის დანართში შესულ რეკომენდაციებთან, პრინციპებსა და შემდგომ მითითებებთან მათი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად; ხელი შეუწყონ მათ დანერგვას ფორმალური, არაფორმალური და ფორმალურისგან განსხვავებული განათლების კონტექსტში; და რეგულარულად შეაფასონ კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის ზემოქმედება;
- ბ. უზრუნველყონ ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის ჩართვა ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის შემუშავებაში, განხორციელებასა და შეფასებაში, მათ შორის, შესაბამისი რესურსებისა და ტრენინგის უზრუნველყოფით;
- გ. უზრუნველყონ მასწავლებლებისა და განათლების სხვა სპეციალისტების შესაბამისი მომზადება და პროფესიული განვითარება და ტრენინგი, ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების მიმართულებით;
- დ. მხარი დაუჭირონ საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის ჩარჩოების შექმნას და უზრუნველყონ მათი შესაბამისობა ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან და დაიცვან მოქალაქეების ხარისხიან განათლებაზე თანაბარი წვდომის უფლება;
- ე. განავრცონ და წახალისონ ევროპის საბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა, ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლებისა და განათლებაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული სტრატეგიების, პოლიტიკის, პროგრამების, კვლევითი და სხვა პროექტების შემუშავებისა და განხორციელების მიმართულებით, კარგი პრაქტიკის, პედაგოგიური ინოვაციებისა და საგანმანათლებლო რესურსების მუდმივი ურთიერთგაცვლის უზრუნველსაყოფად;
- ვ. უზრუნველყონ წინამდებარე რეკომენდაციასა და დანართში მოცემული სახელმძღვანელო მითითებების თარგმნა და შეძლებისდაგვარად ფართოდ გავრცელება, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის, კომუნიკაციის ხელმისაწვდომი საშუალებების, რეჟიმებისა და ფორმატების მეშვეობით;

8. მინისტრთა კომიტეტის საშუალებით, აწარმოონ წინამდებარე რეკომენდაციისა და მის დანართში მოცემული სახელმძღვანელო მითითებების შესრულების შესწავლა, მინიმუმ, ხუთ წელიწადში ერთხელ და, საჭიროების შემთხვევაში, უფრო მოკლე ინტერვალებით, და განათლების პოლიტიკისა და პრაქტიკის მართვის კომიტეტის საშუალებით, შეისწავლონ ხელოვნური ინტელექტისა და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების ზემოქმედება ზოგადად განათლებაზე და, უფრო კონკრეტულად, განათლებაში მათი გამოყენების მიმართულებით;
2. ავალებს გენერალურ მდივანს, მიაწოდოს წინამდებარე რეკომენდაცია ევროპის კულტურული კონვენციის მონაწილე იმ სახელმწიფოების მთავრობებს, რომლებიც არ არიან ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები;
3. მოუწოდებს სამოქალაქო საზოგადოებასა და ბიზნესსაწარმოებს, წვლილი შეიტანონ წინამდებარე რეკომენდაციის განხორციელებაში.

ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების განვითარება და ხელშეწყობა

1. მიზანი და მოქმედების სფერო

დღევანდელ, ტექნოლოგიებით მართულ და ინფორმაციით მდიდარ გარემოში, მოქალაქეები ახალი შესაძლებლობებისა და გამოწვევების წინაშე დგებიან, როდესაც ისინი სარგებლობენ საკუთარი უფლებებით, ახორციელებენ საკუთარ პასუხისმგებლობებს და მონაწილეობენ თავიანთი თემის საქმიანობაში, როგორც ციფრული მოქალაქეები. ციფრული სამყარო აყალიბებს გარემოს, რომელიც უმნიშვნელოვანესია დემოკრატიული პროცესებისა და პრაქტიკის განხორციელებისთვის, მათ შორის, ინფორმაციის გავრცელებისა და ონლიანსივრცეში მისი მართვისთვის. ციფრული სამყარო, სოციალური მედიის საშუალებით, წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატფორმას ინტერკულტურული დიალოგისთვის და, ასევე, ქმნის მოქალაქეების მიერ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მონაწილეობის უფლებით სარგებლობის დღითიდღე უფრო მყარ კონტექსტს.

დემოკრატიის კულტურაში ეფექტურად და ეთიკის ნორმების დაცვით მონაწილეობისათვის აუცილებელი კომპეტენციების დასაუფლებლად და გასავითარებლად, მოქალაქეები საჭიროებენ სწავლასა და პრაქტიკას. ამგვარად, განათლებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია აქტიური და პასუხისმგებელი მოქალაქეების მომზადებაში და მათ მიერ აღნიშნული კომპეტენციების შეძენასა და განვითარებაში. ევროპის საბჭოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო წარმოადგენს ციფრული მოქალაქეობის კონცეპტუალურ საფუძველს, ვინაიდან იგი მნიშვნელოვანია არამხოლოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ განათლებისა და ინტერკულტურული განათლებისთვის, არამედ ციფრული მოქალაქეობის შესახებ სწავლებისთვისაც.

წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების მიზანს წარმოადგენს იმ კომპონენტების განისაზღვრა, რომლებიც საჭიროა ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციების განვითარებისთვის, განათლების მეშვეობითა და მრავალი დაინტერესებული მხარის მონაწილეობით.

2. განმარტებები


წინამდებარე ტექსტის მიზნებიდან გამომდინარე, ქვემოთ მოცემული ტერმინები განიმარტება შემდეგნაირად:

- **„კომპეტენციები“** – ევროპის საბჭოს მიერ განსაზღვრული დემოკრატიული კულტურის 20 კომპეტენცია, რომელიც იყოფა ოთხ ჯგუფად: 1. ღირებულებები; 2. დამოკიდებულებები; 3. უნარები; და 4. ცოდნა და კრიტიკული გააზრება. მოცემული კომპეტენციები ინდივიდებმა უნდა შეიძინონ, დემოკრატიულად და ინტერკულტურულად კომპეტენტურ მოქალაქეებად ჩამოყალიბების მიზნით.
- **„ციფრული მოქალაქე“** – პირი, რომელიც ფლობს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებს, რათა შეძლოს კომპეტენტურად და პოზიტიურად ურთიერთობა თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებთან; აქტიურად, უწყვეტად და პასუხისმგებლობით მონაწილეობდეს სოციალურ და სამოქალაქო აქტივობებში; ჩართული იყოს უწყვეტი სწავლის პროცესში (ფორმალურ, არაფორმალურ და ფორმალურისგან განსხვავებულ გარემოში) და იყოს მუდმივად მზად ადამიანის უფლებებისა და ღირსების დასაცავად.
- **„ციფრული მოქალაქეობა“** საზოგადოებებში (ადგილობრივ, ეროვნულ, გლობალურ, რეალურ და ონლაინსივრცეში) ყველა დონეზე (პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და ინტერკულტურულ) აქტიურად, უწყვეტად და პასუხისმგებლობით მონაწილეობის უნარი.
- **„ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლება“** – ყველა ასაკის მსწავლელთა გაძლიერება, განათლების მეშვეობით ან კომპეტენციების შექმნა-გაუმჯობესებით, რათა მათ შეძლონ აქტიური მონაწილეობა ციფრულ საზოგადოებაში, ისარგებლონ საკუთარი დემოკრატიული უფლებებით, პასუხისმგებლობით იმოღვაწეონ ონლაინსივრცეში და დაიცვან ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა კიბერსივრცეში.
- **„ხელოვნური ინტელექტი (AI)“** – განათლების კონტექსტში განისაზღვრება, როგორც მანქანური სწავლის (ალგორითმის უნარი, ავტომატურად განვითარდეს არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით)

და ღრმა სწავლის (ცვლადებს შორის კორელაციის დადგენის უნარი, სავარაუდო მიზეზშედეგობრივი კავშირების მეშვეობით) ერთობლიობა. ხელოვნური ინტელექტი განათლებაში იყენებს დიდ მონაცემებს სასწავლო ანალიტიკისთვის, სწავლების მოდელებისა და შედეგების პროგნოზირების უზრუნველსაყოფად.

- **„ფორმალური განათლება“** – ქრონოლოგიურად ორგანიზებული სწავლება და ტრენინგი, რომლის მიწოდებაც წარმოებს ეროვნული განათლების სისტემების ფარგლებში, ჩვეულებრივ, საგანმანათლებლო ინსტიტუტებში და სასწავლო პროგრამების საშუალებით, რომლებიც მოიცავს სკოლამდელ, დაწყებით, საშუალო და უმაღლეს განათლებას და, ხშირად, უწყვეტი სწავლის შესაძლებლობას. ფორმალური განათლება, როგორც წესი, ხორციელდება ზოგად ან პროფესიულ საგანმანათლებლო ინსტიტუტებში, სადაც სწავლებას უზრუნველყოფს განათლების სპეციალისტი და პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებზე გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი.
- **„არაფორმალური განათლება“** – საკლასო გარემოს მიღმა განხორციელებული სწავლება, ე.ი. პროცესი, რომლის დროსაც ყოველი ინდივიდი იძენს კომპეტენციებს ყოველდღიური გამოცდილებისა და გარემოში არსებული საგანმანათლებლო გავლენისა და რესურსების მეშვეობით – ოჯახის წევრებთან, თანატოლებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას; ყოველდღიური მუშაობისა და სხვა საქმიანობით მიღებული გამოცდილებიდან; კლასგარეშე პროგრამებსა თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მონაწილეობიდან; მუზეუმებიდან, ბიბლიოთეკებიდან და მასმედიიდან.
- **„ფორმალურისგან განსხვავებული განათლება“** – ფორმალური საგანმანათლებლო გარემოს მიღმა დაგეგმილი ნებისმიერი აქტივობა ან საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც შესაძლებელია იყოს დამოუკიდებელი ან ფართო აქტივობის ნაწილი, და რომელიც ემსახურება უნარებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებას.
- **„უწყვეტი (მთელი სიცოცხლის მანძილზე) სწავლა“** – კომპეტენციების უწყვეტ რეჟიმში თვითმოტივირებული შექმნა მოქალაქეების მიერ, რაც ემსახურება პიროვნულ განვითარებას, სოციალურ ჩართულობას, თვითდაჯერებულობის ზრდასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას. უწყვეტი სწავლა ხორციელდება ფორმალური, არაფორმალური და ფორმალურისგან განსხვავებული სწავლის შესაძლებლობებით, მთელი ცხოვრების მანძილზე, და განსაკუთრებით იძლევა ცხოვრების იმ სფეროებში არსებითი და გაცნობიერებული მონაწილეობის შესაძლებლობას, სადაც ციფრული ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტი დომინირებს.

- **„შემსწავლელები/მოსწავლეები“** – არა მხოლოდ ფორმალურ განათლებაში მონაწილე ბავშვები და ახალგაზრდები, არამედ ყველა ასაკის პირები, რომლებიც ჩართულნი არიან ფორმალურ, არაფორმალურ და ფორმალურისგან განსხვავებულ განათლებაში, შესაბამისად, უწყვეტი (მთელი სიცოცხლის მანძილზე) სწავლის პრინციპით.
- **„განათლების სპეციალისტები“** – პედაგოგები და ფორმალურ განათლებასა და ადრეული ასაკის ბავშვების აღზრდაზე პასუხისმგებელი სპეციალისტები, ასევე, პირები, რომლებიც მონაწილეობენ შემსწავლელების მხარდაჭერაში პროფესიული კუთხით, როგორცაა სკოლის ფსიქოლოგები, პედაგოგები, ბიბლიოთეკარები, ასისტენტები და კერძო მასწავლებლები.
- **„სასწავლო გეგმა/კურიკულუმი“** – ციფრული მოქალაქეობის შესახებ სწავლების კონტექსტში ნიშნავს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების შემუშავებისა და განვითარების საშუალებას, ციფრული მოქალაქეობის შესახებ სწავლების 10 დომენის ფარგლებში. ციფრული მოქალაქეობის შესახებ



განათლების ინტეგრირება სასწავლო გეგმაში ხდება განათლების სპეციალისტებისა და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ტრენინგითა და რესურსებით უზრუნველყოფითა და სასწავლო გეგმაში გამჭოლი დისციპლინისა და საერთო სასკოლო მიდგომის დანერგვით.

- **„არსებითი პრაქტიკა“** – წარმატებული პრაქტიკა, რომელიც დადებით გავლენას ახდენს ინდივიდუალურ პირებსა ან საზოგადოებებზე; რომლის ეფექტურობა დადასტურებულია კონკრეტული ამოცანის განსახორციელებლად; რომელიც ექვემდებარება გამეორებასა და ადაპტირებას სხვადასხვა კონტექსტში; პასუხობს სამიზნე მოსახლეობის არსებულ და სამომავლო საჭიროებებს; შესაძლებელია და მდგრადია ტექნიკურად, ეკონომიკურად და სოციალურად; ხელს უწყობს ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებას და ექვემდებარება ადაპტირებას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისთვის მისი მორგების მიზნით; და გულისხმობს მონაწილეობის პროცესს, რომელიც არსებითი ჩართულობისა და კმაყოფილების განცდას ბადებს მონაწილეებში.
- **„ციფრული მოქალაქეობის 10 დომენი/განზომილება“** – ციფრული მოქალაქეობის ზოგადი კონცეფციის საფუძველი, რომელიც გამოიყენება დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ციფრულ გარემოზე მისადაგების ჩარჩოდ. მოცემული 10 დომენი კონცეპტუალურად იყოფა სამ ჯგუფად: „ონლაინჩართულობა“, „ონლაინკეთილდღეობა“ და „ონლაინუფლებები“.

„ონლაინჩართულობა“ მოიცავს ციფრული მოქალაქეობის სამ განზომილებას, რომელიც ეხება ციფრულ საზოგადოებაზე წვდომისათვის და, ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად, თავისუფლად და უსაფრთხოდ თვითგამოხატვასთვის საჭირო კომპეტენციებს; ეს განზომილებებია:

- წვდომა და ინკლუზია
- სწავლა და შემოქმედებითობა
- მედიაწიგნიერება და ინფორმაციული წიგნიერება

„ონლაინკეთილდღეობა“ ონლაინსივრცეში მოიცავს ციფრული მოქალაქეობის სამ განზომილებას, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლების პოზიტიურად ჩართვას ციფრულ საზოგადოებაში; ეს განზომილებებია:

- ეთიკა და ემპათია
- ჯანმრთელობა და კეთილდღეობა
- ინტერნეტსივრცეში ჩართულობა და ელექტრონული კომუნიკაცია

„ონლაინუფლებები“ მოიცავს ოთხ განზომილებას, რომელიც ეხება მოქალაქეების უფლებებსა და პასუხისმგებლობებს, ციფრული კონტექსტისთვის დამახასიათებელ რთულ და მრავალფეროვან საზოგადოებებში; ეს განზომილებებია:

- აქტიური მონაწილეობა
 - უფლებები და პასუხისმგებლობები
 - პერსონალურ მონაცემთა დაცვა და უსაფრთხოება
 - მომხმარებელთა ინფორმირებულობა
- **„დაინტერესებული მხარეები“** – ყველა პირი, ვისაც გააჩნია ლეგიტიმური ინტერესი ციფრული მოქალაქეობის შესახებ სწავლების მიმართ, როგორცაა შემსწავლელი/მოსწავლელი, განათლების სპეციალისტები და ადრეული ასაკის ბავშვების აღზრდაზე პასუხისმგებელი სპეციალისტები, მშობლები, სკოლის ხელმძღვანელობა, აკადემიური პერსონალი, ბიზნესსაწარმოები, სამოქალაქო საზოგადოება, მედია, ეროვნული ან საერთაშორისო მარეგულირებელი და სხვა ორგანოები.

3. სახელმძღვანელო პრინციპები

ციფრულ მოქალაქეობასთან დაკავშირებული ინიციატივები ემყარება ქვემოთ მოცემულ ცხრა სახელმძღვანელო პრინციპს, რომელიც ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების მიმართულებით პროგრესის შეფასებისა და ანალიზისთვის. აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპები სამ კატეგორიად იყოფა: კონტექსტური, ინფორმაციული და ორგანიზაციული.

კონტექსტური პრინციპები, რომლებიც განიხილება, როგორც ციფრული მოქალაქეობის „წინაპირობა“

1. თანამედროვე საზოგადოებაში ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომა ყოველდღიური ცხოვრების წესის განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, ყველა მოქალაქის უზრუნველყოფა ციფრულ ტექნოლოგიებზე თანასწორი და თანაბარი წვდომით, მათ შორის, სკოლებში, ბიბლიოთეკებსა და საჯარო დაწესებულებებში, ისევე როგორც ასაკის შესაბამისი ტექნოლოგიების გონივრული გამოყენების უზრუნველყოფა, მნიშვნელოვან პოლიტიკურ მიზნებს განეკუთვნება.
2. ძირითადი ფუნქციური უნარები და ციფრული წიგნიერება მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, მიიღონ წვდომა, წაიკითხონ, დაწერონ, ჩამოტვირთონ და განათავსონ ინფორმაცია, მონაწილეობა მიიღონ გამოკითხვებში და ისარგებლონ თვითგამოხატვის საშუალებებით, რაც უზრუნველყოფს მათ ჩართულობას საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებში.

DIGITAL CITIZENSHIP EDUCATION



Volume 2
Multi-stakeholder
consultation report



3. უსაფრთხო ტექნიკური ინფრასტრუქტურა განაპირობებს ნდობისა და უსაფრთხოების განცდას, ონლაინსივრცეში მიმდინარე მოვლენებში მონაწილეობისას. აღნიშნული საჭიროებს ციფრული პლატფორმების პროვაიდერებისა და მობილური ოპერატორების მხრიდან უსაფრთხო ციფრული გარემოს შექმნასა და უსაფრთხოების გამართივებული ზომების უზრუნველყოფას.

ინფორმაციული პრინციპები, რომლებიც დაკავშირებულია დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებთან

4. უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ ინფორმირებულობა განაპირობებს ციფრული მოქალაქეების აქტიურ ჩართულობას პროცესებში და ხელს უწყობს მათი ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას და, ასევე, ამ ღირებულებებითა და დამოკიდებულებებით ხელმძღვანელობას. უფლებებისა და პასუხისმგებლობების კრიტიკული გააზრება ეტაპობრივად ხორციელდება როგორც რეალურ, ასევე, ონლაინგარემოში, სადაც ადამიანები სწავლობენ, ცხოვრობენ და ურთიერთობენ.
5. ინფორმაციის სანდო წყაროები აუცილებელია თემში მიმდინარე პროცესებში პოზიტიური და აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. ინფორმაციის სანდო წყაროების გარეშე, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი შეიძლება აღმოჩნდეს დემოტივირებული ან ციფრული მოქალაქეობის პრაქტიკას ჩამოშორებული, რაც ნეგატივიზმის ან ექსტრემიზმის საფუძველი ხდება. სკოლები და ოჯახები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კრიტიკული აზროვნებისა და საგანმანათლებლო პრაქტიკების მეშვეობით გარჩევის უნარის განვითარების საქმეში, თუმცა, ციფრული პლატფორმებსა და მობილურ ოპერატორებს თანაბრად მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ინფორმაციის წყაროების სანდოობის უზრუნველყოფაში.
6. მონაწილეობის უნარი დამოკიდებულია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების მთელ რიგზე, რაც მოიცავს საკუთარი მოსაზრების გამოთქმისთვის სათანადო დროისა და ადგილის შერჩევის უნარს, კრიტიკულ აზროვნებას, ემპათიას, კულტურული მრავალფეროვნების გააზრებას, რაც აუცილებელია შინაარსის სრულყოფილი გაცნობიერებისთვის და ციფრული ინსტრუმენტებით გონივრულად სარგებლობისთვის, საკუთარი მოსაზრებების გამოხატვისას.

ორგანიზაციული პრინციპები, რომლებიც ხელს უწყობს „ციფრული მოქალაქეობის სტილით ცხოვრებას“ პიროვნულ და საზოგადოებრივ დონეზე

7. კრიტიკული აზროვნება და პრობლემების გადაჭრა საჭიროებს დემოკრატიული კულტურის ოთხივე კატეგორიას მიკუთვნებული 20 კომპეტენციის თანაბარ ფლობას და მათი დაუფლება შესაძლებელია სწავლის სხვადასხვა კონტექსტში, კვლევაზე დაფუძნებული აქტივობების საშუალებით.

ციფრულ პლატფორმებსა და მობილურ ოპერატორებს გადაწყვეტი როლი ეკისრებათ აღნიშნული მიმართულებით, ვინაიდან სწავლა დიდწილად ხორციელდება მიწოდებული ინსტრუმენტების მეშვეობით.

8. კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის ჩამოყალიბების, მიღებისა და გავრცელების უნარს, შესაბამისი ინსტრუმენტების გონივრულ გამოყენებას და ღირებულებებისა და დამოკიდებულებების, უფლებებისა და პასუხისმგებლობების, კონფიდენციალობისა და უსაფრთხოების სათანადოდ გაცნობიერებას.
9. მონაწილეობის შესაძლებლობა მოქალაქეებს საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს, მოქნილ, ღია, ნეიტრალურ და უსაფრთხო გარემოში, შურისგების შიშის გარეშე, რაც მათ დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის აქტიურად წახალისებისა და დაცვისათვის განაწყოებს.

4. ინსტიტუციური პროცესები

ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების პოლიტიკაში ყოვლისმომცველი პოლიტიკური მიზნების ჩართვა, კერძოდ:

- მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ადამიანი უზრუნველყოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარების ხელშემწყობი ჩარჩოთი, და პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობებით, რაც მათ საშუალებას მისცემს, ისარგებლონ თავიანთი უფლებებით და განახორციელონ თავიანთი პასუხისმგებლობები, დაცვასა და გაძლიერებას შორის შესაბამისი ბალანსის დაცვით;
- უზრუნველყოს ნებისმიერ აქტივობაში, იქნება ეს ციფრული ტექნოლოგიების შესწავლასთან თუ მათი მეშვეობით სწავლასთან დაკავშირებული აქტივობა, ადამიანის საუკეთესო ინტერესების წინა პლანზე წამოწევა, და სწავლის ფოკუსირება ტექნოლოგიების მეთოდურ, შემოქმედებით და ეთიკურ გამოყენებებზე;
- ხელი შეუწყოს ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების ჩართვას მთელი სიცოცხლის მანძილზე უწყვეტი განათლების პროცესში, რომელიც ასახავს დემოკრატიულ ღირებულებებს, როგორებიცაა თანასწორობა, მრავალფეროვნება და ინკლუზია, და წახალისოს არამხოლოდ შემსწავლელთა/ მოსწავლეთა, არამედ დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრის გაძლიერება და აქტიური მონაწილეობა;

- უზრუნველყოს ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების ჩართვა ფორმალური განათლების სასწავლო გეგმებში, სასკოლო განათლების ყველა დონეზე, და უზრუნველყოს მისი შესაბამისობა და მდგრადობა, განათლების სპეციალისტებისათვის სათანადო ავტონომიის მინიჭებით;
- უზრუნველყოს ხარისხიანი ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობა, როგორც ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების სახელმძღვანელო (<https://rm.coe.int/168093586f>) და ინტერნეტწიგნების სახელმძღვანელო (<https://rm.coe.int/internet-literacy-handbook/1680766c85>), ფორმალური, არაფორმალური და ფორმალურისგან განსხვავებული სწავლის ხელშეწყობის მიზნით;
- შეიმუშაოს და დანერგოს სწავლის შედეგების განსაზღვრისა და შეფასების ეფექტიანი სტრატეგიები, ციფრული მოქალაქეობის ათივე განზომილებისათვის და დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებისათვის შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების ყველა დონეზე შეფასების უზრუნველსაყოფად;
- შეიმუშაოს და განახორციელოს სასწავლო და ტრენინგპროგრამები, შესაბამისი ამოცანებით, პრინციპებითა და სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდებით, რომლებიც უზრუნველყოფს განათლების სპეციალისტებისა და სხვა შესაბამისი ჯგუფების მომზადებასა და უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და ტრენინგს; ასევე, უზრუნველყოს ისინი მხარდაჭერითა და რესურსებით, რაც საშუალებას მისცემს განათლების სპეციალისტებს, გამოიყენონ შექმნილი ცოდნა და უნარები მათი სამუშაო გარემოს ფარგლებში და სამუშაო გარემოს ფარგლებს მიღმა;
- უზრუნველყოს მტკიცებულებაზე და ფუნდამენტურ და შედარებით კვლევებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც საფუძვლად დაედება იმ პროცესებსა და პრაქტიკას, რომლებიც ემსახურება დემოკრატიული მონაწილეობის ხელშეწყობას, საგანმანათლებლო მიდგომების გაუმჯობესებას, სასწავლო გეგმებისა და რესურსების გამრავალფეროვნებასა და პროგრესის მონიტორინგისთვის ეფექტური მაჩვენებლების შემუშავებას;
- ხელი შეუწყოს სხვა წევრ სახელმწიფოებთან, ევროპის საბჭოსთან და სხვა ინსტიტუტებთან თანამშრომლობასა და გამოცდილების გაცვლა-გაზიარებას, მდგრადი თანამშრომლობის პლატფორმებისა და პროცესების დანერგვით, საერთო საზრუნავის, ინტერესებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირებით, აქტივობების შემუშავებით, რომლებიც გულისხმობს ორი ან მეტი დაინტერესებული მხარის მონაწილეობას, იდეების, კარგი პრაქტიკისა და კვლევის მეთოდებისა და შედეგების გაცვლისა და გავრცელების მიზნით, და ციფრული მოქალაქეობის შესახებ სწავლების შემუშავებაში

მონაწილე ქსელებისა და საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის პარტნიორობის მხარდაჭერითა და პოპულარიზაციით.

5. სწავლა, სწავლება და შეფასება

ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების დანერგვისათვის მნიშვნელოვანია ციფრულ ეპოქაში სწავლის, სწავლებისა და შეფასების როლის გადასინჯვა. ციფრული მოქალაქეობის შესწავლა შესაძლებელია სკოლაში, ოჯახსა და საზოგადოებაში არსებული მოდელების საშუალებით. მაშასადამე, შესაბამისი აქტივობები უნდა განხორციელდეს ყველა შემსწავლელზე ორიენტირებულ გარემოში და, სადაც შესაძლებელია, ოჯახების, ადგილობრივი თემებისა და ა.შ. ჩართულობით. აღნიშნული მიმართულება საჭიროებს უწყვეტ რეჟიმში განხორციელებულ მომზადებასა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლას, მათ შორის, უმაღლეს სასწავლებლებში გათვალისწინებულ კომპიუტერულ მეცნიერებებსა და მსგავს საგნებში ინტერდისციპლინური პროგრამების შემოღებას.

პრაქტიკისთვის მნიშვნელოვანი შედეგები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

სწავლა

საჭიროა ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების ჩართვა დაწყებითი განათლების სასწავლო გეგმებში, რომელთა განსახორციელებლადაც გამოყენებული უნდა იყოს მოქნილი და დინამიკური მიდგომა.

სწავლების პროცესში საჭიროა შემსწავლელების/მოსწავლეების უზრუნველყოფა ინსტრუმენტებით, რესურსებითა და მითითებებით, რათა მათ შეძლონ თავიანთი სასწავლო გარემოს ორგანიზება, რაც ხელს შეუწყობს მათ მოტივირებასა და ჩართულობას პასუხისმგებელ მოქალაქეებად ჩამოყალიბების მცდელობაში, განსაკუთრებით, ციფრულ გარემოში, თანატოლებისა და შემსწავლელების/მოსწავლეების მიერ წარმართული და შემსწავლელებზე/მოსწავლეებზე ორიენტირებული სწავლის მეშვეობით.

სწავლება

ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლება უნდა მოიცავდეს შერეულ სწავლებას (საკლასო გარემოში და ონლაინ), „შებრუნებული“ პრინციპით სწავლებას (მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით) და ჰიბრიდულ სწავლებას (პირისპირ, შერეულ და „შებრუნებულ“

სწავლებას), რათა გათვალისწინებულ იქნეს შემსწავლელთა სწავლის მრავალფეროვანი სტილი და საჭიროებები და უკეთ მოხდეს მათი მომზადება რეალურ ცხოვრებაში დემოკრატიული მონაწილეობისათვის.

შესაბამისად, სწავლებისას გამოყენებული მიდგომები უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- შემსწავლელებმა უნდა ისწავლონ შესაბამისი ტექნოლოგიების შერჩევა, სკოლასა და კლასგარეშე აქტივობებში მათი აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად;
- სწავლების პროცესში უნდა გამოიყენებოდეს რეალური ცხოვრებისეული სიტუაციები და სწავლების მრავალფეროვანი შესაძლებლობები, როგორებიცაა მმართველობით პროცესებში მონაწილეობა, პრობლემის გადაჭრა და ინტერკულტურული დიალოგი, დემოკრატიული მოქალაქეობის პრინციპების დანერგვის უზრუნველსაყოფად და შემსწავლელთა/მოსწავლეთა საკუთარი ღირებულებების, დამოკიდებულებების, უნარებისა და კრიტიკული გააზრების გამოყენების შესაძლებლობებით აღჭურვის მიზნით;
- ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლება უნდა მოიცავდეს შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მიერ სკოლის ფარგლებში განხორციელებულ, სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ თუ კლასგარეშე სასწავლო ღონისძიებებს, როგორებიცაა სემინარები ან ტრენინგი დასვენების დროს; შემსწავლელთა ჩართვა სასკოლო ღონისძიებების ორგანიზების საქმეში, როგორებიცაა სასკოლო ბაზრობა ან კლასის ექსკურსია; რაც ხელს შეუწყობს მათ მიერ შექმნილი ციფრული უნარების პრაქტიკულ გამოყენებასა და ჩართულობას სათემო მომსახურებებსა თუ ონლაინ-ღონისძიებებში;
- შემსწავლელები საჭიროებენ მხარდაჭერას, რათა მათ გააცნობიერონ და დააბალანსონ ონლაინ-ტექნოლოგიების გამოყენების სოციალური და ინტერპერსონალური შედეგები;
- საჭიროა ხელმისაწვდომი და ინკლუზიური, შემსწავლელთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო შესაძლებლობების შეთავაზება, რაც გულისხმობს შემსწავლელთა/მოსწავლეთა თანამონაწილეობას სასწავლო გარემოს შექმნასა და თვითშეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში და საშუალებას აძლევს შემსწავლელებს/მოსწავლეებს, თვალი ადევნონ საკუთარ მოსწრებასა და კომპეტენციების განვითარებას;
- საჭიროა ციფრული მოქალაქეობის შესახებ სწავლების ჩართვა სასწავლო აქტივობებში, ევროპის საბჭოს შესაბამისი მასალების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს წევრი სახელმწიფოების საერთო ხედვის ჩამოყალიბებას და, ამავდროულად, ადგილობრივი საჭიროებებისა და აღქმების გათვალისწინებას;
- საჭიროა რესურსების უზრუნველყოფა და კვლევების წარმოება პედაგოგიკისა და დიდაქტიკის სფეროში, ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების მიმართულებით.


შეფასება

გარდა იმისა, რომ ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლება საჭიროებს მრავალფეროვანი პედაგოგიკური მეთოდების გამოყენებას, შეფასებისას გამოყენებული მიდგომებიც უნდა ასახავდეს დემოკრატიული კულტურის ეთოსს. სკოლის ინსპექტირებაში შესაბამისი სტანდარტული პარამეტრების შეტანა ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების პრიორიტეტულობის მნიშვნელოვანი აღიარება იქნება. შესაბამისად, საჭიროა:

- მოსწავლეზე ორიენტირებული შეფასების მეთოდების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს როგორც პოზიტიური, ასევე, ნეგატიური შედეგებისა და მიღებული გამოცდილების გამოკვეთას;
- შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება სასწავლო დაწესებულებებისა და დაინტერესებული მხარეების მიერ, რაც უზრუნველყოფს ეფექტური პრაქტიკისა და მოდელების გამოკვეთას, და სხვადასხვა ტიპის შეფასებების გამოყენება (ციფრული მოქალაქეობის განმავითარებელი შეფასება, განმსაზღვრელი შეფასება, თვითშეფასება და თანატოლთა მიერ შეფასება);
- ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლებასთან დაკავშირებულ მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელიც დაეხმარება განათლების სპეციალისტებს შესაბამისი პედაგოგიკური მეთოდებისა და რესურსების შესახებ არჩევანის გაკეთებაში;
- სხვადასხვა ასპექტზე მტკიცებულებების შეგროვება (როგორებიცაა ემპათიის გამოვლენილი დონე, თანატოლებს შორის თანამშრომლობა, სიძულვილის ენის წარმატებული აღკვეთა და ჩაგვრა-შევიწროების პრევენცია), ნაცვლად მხოლოდ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სარგებლობის უნარის შეფასებისა (როგორებიცაა, ტექნიკური უნარები, მოწყობილობების გამოყენების კომპეტენცია), ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების 10 განზომილებიდან თითოეულისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების მიზნით.

განათლების სპეციალისტებსა და სკოლის პერსონალზე დამატებითი პასუხისმგებლობის დაკისრების თავიდან არიდებისა და მდგრადი და მკაფიო მეთოდოლოგიებით პროგრესის სწორად შეფასების მიზნით, ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების შეფასება არ საჭიროებს დამატებითი სპეციფიკური შეფასების მეთოდოლოგიის შემოტანას სკოლებში, ნაცვლად ამისა, რეკომენდებულია მისი დაკავშირება უკვე არსებულ შეფასებებთან, რომლებსაც ითვალისწინებს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო, ან რომელიც ხორციელდება საერთაშორისო ინსტრუმენტების გამოყენებით.

ხელოვნური ინტელექტი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ინსტრუმენტი, ბევრ შესაძლებლობასთან ერთად, მრავალ საფრთხეს მოიცავს, რაც საჭიროებს მისი გამოყენების დაგეგმვის ეტაპზე ადამიანის



DIGITAL CITIZENSHIP EDUCATION

Volume 1
Overview and
new perspectives

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

უფლებების პრინციპების გათვალისწინებას. პედაგოგები უნდა ფლობდნენ ინფორმაციას სწავლა-სწავლებაში ხელოვნური ინტელექტის ჩართვის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების პროცესში მოხდეს ტექნოლოგიებით გონივრულად სარგებლობა, და არა მათზე არაჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბება. ხელოვნური ინტელექტი, მანქანური სწავლებისა და ღრმა სწავლების საშუალებით, ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესს, აძლევს რა განათლების სპეციალისტებს საშუალებას, მოარგონ სწავლების სტრატეგიები მოსწავლეების საჭიროებებს, მათი სწავლის გამოცდილებისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით. ამავე დროს, ხელოვნური ინტელექტის შემდგომმა განვითარებამ შესაძლებელია ღრმა გავლენა იქონიოს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის და, ზოგადად, მოქალაქეებს შორის ურთიერთობებზე, რამაც შეიძლება უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს იმაზე, რაც განათლების საფუძველს წარმოადგენს, კერძოდ, თავისუფალი ნებისა და დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ნაადრევია სასწავლო გარემოში ხელოვნური ინტელექტის ფართო გამოყენებაზე საუბარი, განათლების სპეციალისტები და სკოლის პერსონალი უნდა ფლობდნენ ინფორმაციას ხელოვნური ინტელექტისა და მასთან დაკავშირებული იმ ეთიკური გამოწვევების შესახებ, რომლებიც სკოლის კონტექსტში იჩენს თავს და, ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების ჩარჩოსა და ციფრული მოქალაქეობის 10 განზომილების გამოყენებით, უნდა უზრუნველყონ შესაბამისი არჩევანის გაკეთება. ყველაზე აშკარა გამოწვევები მოიცავს მოსწავლეების მიერ გამოვლენილი ქცევის საფუძველზე გადაჭარბებული პროგნოზების გაკეთების რისკებს, დიდი მონაცემებისა და სწავლა-სწავლების ანალიტიკის გადაჭარბებულ გამოყენებას, რაც შეიცავს სწავლის მიზნებისა და შედეგების გადამეტებითი სტანდარტიზაციის რისკს, ალგორითმული დისკრიმინაციითა და მიკერძოებული გამორიცხვით გამოწვეულ პოტენციურ ზიანს, ასევე, მონაცემების კომერციალიზაციით გამოწვეულ მოსწავლეთა უფლებებისა და პერსონალური ინფორმაციისა და მონაცემთა კონფიდენციალობის დარღვევას.

მრავალ დაინტერესებულ მხარეს შორის თანამშრომლობა, ევროპის საბჭოს ზედამხედველობით, მნიშვნელოვანი გარანტია იმისა, რომ განათლებაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისას დაცული იქნება ეთიკის ნორმები, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ იგი ზემოქმედებს ახალგაზრდებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების კეთილდღეობაზე.

6. განათლების სპეციალისტთა მომზადება და პროფესიული გადამზადება

განათლების სპეციალისტები, ტრენერები და სხვა დაინტერესებული მხარეები საჭიროებენ შესაბამის მომზადებასა და უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და ტრენინგს, ციფრული მოქალაქეობის შესახებ

განათლებასთან დაკავშირებული შესაძლებლობების მაქსიმალურად და ეფექტურად გამოყენების უზრუნველსაყოფად.

შესაბამისად, განათლების სპეციალისტები საჭიროებენ მომზადებასა და უწყვეტ პროფესიულ გადამზადებას, რათა:

- ფლობდნენ საფუძვლიან ცოდნას ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლებასთან დაკავშირებული პრინციპების, მიზნების, სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიების შესახებ და აქტიურად მონაწილეობენ ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების განვითარებაში;
- ცოდნის ურთიერთგაზიარებისა და ურთიერთნდობის ჩამოყალიბების მიზნით, ხელს უწყობდნენ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ბიზნესსაწარმოებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის პარტნიორობის ჩარჩოს შექმნას, მობილობისა და პრაქტიკული მომზადების შესაძლებლობების გაფართოების უზრუნველსაყოფად;
- უზრუნველყოფდნენ სასწავლო გეგმასთან შესაბამისი, მზა და, ამავედროულად, ადაპტირებას დაქვემდებარებული გაკვეთილების გეგმების შემუშავებას;
- უზრუნველყოფდნენ ციფრული მოქალაქეობის კონცეფციების ჩართვასა და გამოყენებას მათ პედაგოგიკურ პრაქტიკაში, რაც ამ პრაქტიკას შემსწავლელებისთვის/მოსწავლეებისათვის უფრო მიმზიდველსა და რელევანტურს გახდის;
- მოტივირებულნი იყვნენ, მუდმივად იზრუნონ საკუთარი ცოდნის გაღრმავებაზე, სწავლების პრაქტიკის დახვეწაზე, კვალიფიკაციის ამაღლებასა და ციფრული თუ სხვა მედიის კრიტიკული ანალიზის უნარების გაუმჯობესებაზე, მომზადებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების მეშვეობით, მოსწავლეების მიერ ინტერაქტიული ინსტრუმენტებით სათანადოდ და პასუხისმგებლობით სარგებლობისა და მედიაკონტენტზე წვდომის, მისი გამოყენებისა და შექმნისათვის საჭირო კომპეტენციების უკეთ გაცნობიერების მიზნით;
- ისარგებლონ ავტონომის შესაბამისი დონით, სასწავლო გეგმის განხორციელებისას და მოსწავლეების პროგრესის შეფასებისას;
- იზრუნონ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, შეიძინონ შესაბამისი საფუძვლიანი ცოდნა და კრიტიკულად გაიაზრონ ციფრული მოქალაქეობის პრინციპები და ამოცანები, პედაგოგიკური მიდგომები და მათი განხორციელების ინსტრუმენტები, და შეძლონ მიმდინარე ცვლილებებთან ადაპტირება;
- შექმნან საზოგადოებები და ქსელები, რომელთა საშუალებითაც ისინი შეძლებენ საკუთარი მოსაზრებებისა და პრაქტიკის ურთიერთგაზიარებას, გაცვლასა და გავრცელებას;
- ჩართონ პროფესიული განვითარების არსებულ პროგრამებში ტრენინგები ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, უწყვეტი მხარდაჭერისა და წახალისების უზრუნველსაყოფად.

7. თანაგზროვნობა, კოორდინაცია და დაინტეგრირებული გზარითა ჩართულობა

ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლება დინამიკური და უწყვეტი პროცესია, რომელიც მოქალაქეებისგან მოითხოვს საკუთარი უნარების გაუმჯობესებაზე მუდმივ ბრუნვას, იმ სწრაფად ცვალებად გარემოებებთან ადაპტირებისა და გამკლავების უზრუნველსაყოფად, რომლებიც გამოწვეულია ციფრული ტექნოლოგიების უწყვეტი განვითარებით და, განსაკუთრებით, ყოველდღიური ცხოვრების ყველა ასპექტზე ხელოვნური ინტელექტის გავლენით. აღნიშნული პროცესი საჭიროებს ყველა იმ დაინტერესებული მხარის აქტიურ ჩართულობას, რომელიც ფლობს ციფრული მოქალაქეობის მნიშვნელობის სხვადასხვა პერსპექტივიდან გადასინჯვისა და ციფრული გარემოს ფორმირებასა და რეგულირებაში საკუთარი წვლილის შეტანის შესაძლებლობებს და, აგრეთვე, ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების ხელშეწყობის შესაძლებლობებს, შესაბამისი კვლევებისა და სპეციალისტთა განათლებისა და მომზადების შესაძლებლობების შექმნის საშუალებით.

ბიზნესსაწარმოებს, რომლებიც განათლებასა და შესაბამის მარეგულირებელ ჩარჩოებს საერთო პასუხისმგებლობის სფეროდ აღიარებენ, მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ ციფრული მოქალაქეობისათვის საჭირო პირობების შექმნაში, ინფორმაციაზე, ციფრულ პლატფორმებსა და შესაბამის მომსახურებებზე უსაფრთხო და საიმედო წვდომის უზრუნველყოფის საშუალებით, ასევე, მოქალაქეებისათვის იმ ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების შეთავაზებითა და მიწოდებით, რომლებიც მათ საკუთარ თემში ურთიერთობისა და ინფორმაციის გაზიარების შესაძლებლობას მისცემს და, აღნიშნული გამოცდილების გამდიდრებით, მასში იმ სტანდარტების ჩართვით, რომლებიც ყველა მონაწილის უფლებებისა და მცირეწლოვანი და სხვა დაუცველი ჯგუფების დაცვას ემსახურება.

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების წვლილი შესაძლებელია შემდგნაირად შეჯამდეს:

სექტორთა შორის თანაგზროვნობა

საჯარო ხელისუფლებამ საკუთარ თავზე უნდა აიღოს სექტორთა შორის ეფექტური თანამშრომლობის წახალისება და მხარეთა ჩართულობის უზრუნველყოფა, ისეთი ზომების მიღებით, როგორებიცაა:

- ციფრული მოქალაქეობის პრინციპების დანერგვისა და მასთან დაკავშირებული ამოცანების განხორციელების, აგრეთვე, ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების მიმართულებით

განხორციელებული ქმედებების, კვლევებისა და ღონისძიებების ხელშეწყობა და ყველა დაინტერესებული მხარისთვის, განსაკუთრებით, ფართო საზოგადოებისა და მედიისთვის, მათ შესახებ ინფორმაციის მიწოდება, მათი წვლილის წახალისებისა და ოპტიმიზაციის მიზნით;

- ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, ციფრული მოქალაქეობის შესახებ სწავლებაში მონაწილე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის წახალისება და მათი როლისა და წვლილის აღიარების უზრუნველყოფა;
- ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაში, რომელიც მათ ეხება, ყველა მოქალაქის (მათი ასაკისა და განვითარების დონის გათვალისწინებით) რეალური და სამართლიანი მონაწილეობის შესაძლებლობით უზრუნველყოფა;
- ბიზნესსაწარმოებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის პარტნიორობის მხარდაჭერი ჩარჩოს შემუშავების ხელშეწყობა, რომელიც ითვალისწინებს განათლებაზე საერთო პასუხისმგებლობის არსებობას და გამორიცხავს კომერციული ინტერესების ნეგატიურ ზემოქმედებას განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობასა და მისი მიწოდების მრავალფეროვნებაზე;
- ეროვნულ დონეზე სამართლიანი და გამჭვირვალე პარტნიორობისა და ურთიერთობის მოდელის შემუშავების ხელშეწყობა, რომლებიც შემსწავლელების/მოსწავლეების საუკეთესო ინტერესებს ემსახურება;
- ბიზნესსაწარმოების შესაბამისობის უზრუნველყოფა ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან და კომპანიების მიერ პროდუქტებისა და მომსახურების დიზაინში ციფრული მოქალაქეობის პრინციპების ჩართვის წახალისება;
- პლატფორმის შექმნის ხელშეწყობა, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა სექტორს შორის ინფორმაციის გაცვლას და, განსაკუთრებით, საშუალებას მისცემს თითოეულ სექტორს, მის მიერ მიღებული ზომების შესახებ ინფორმაცია გაავრცელოს და გაუზიაროს იგი სხვა სექტორებს, მაგალითად, რესურსების ოპტიმიზაციის ან ეფექტურობის გასაუმჯობესებლად თანამშრომლობის მიზნით;
- დისკუსიების ხელშეწყობა იმის შესახებ, თუ რა გზებით არის შესაძლებელი სხვადასხვა სექტორის პოლიტიკისა და პროგრამების კორექტირება, მაგალითად, რესურსების გაზიარების ან საერთო დაფინანსების მექანიზმების შექმნის ან გამოყენების მიზნით;
- პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავება, რომლებიც პროაქტიურად უზრუნველყოფს სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელი დაინტერესებული მხარეების გაერთიანებას, ციფრულ მოქა-

ლაქეობასთან დაკავშირებული საერთო ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც საჭიროებს რამდენიმე განსხვავებული სექტორის გამოცდილებასა და/ან რესურსებს.

მსჯავლეუმი

ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლებაში მსწავლელთა ჩართულობის წახალისების მიზნით, განათლებაზე პასუხისმგებელმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს შემდეგი:

- შემსწავლელების/მოსწავლეების თანასწორი მონაწილეობა, მათი ასაკისა და განვითარების დონის გათვალისწინებით, ყველა გადაწყვეტილებაში, რომელიც მათ ეხება, როგორც საკლასო სივრცეში, ასევე, ფართო საგანმანათლებლო გარემოში;
- შემსწავლელების/მოსწავლეების აღჭურვა რეალური მონაწილეობის შესაძლებლობებით, იმ პოლიტიკის შესახებ კონსულტაციებში, რომელიც გავლენას ახდენს სასწავლო გარემოზე;
- ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სწავლის შესაძლებლობების შეთავაზება, ნებისმიერი შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მათი აღჭურვა თვითშეფასების ინსტრუმენტებით, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ, თვალი ადევნონ თავიანთ პროგრესს, და შემსწავლელები/მოსწავლეების ჩართვა სასწავლო გარემოს ორგანიზების პროცესში;
- შემსწავლელების/მოსწავლეების ინფორმირება საკუთარი უფლებების შესახებ და მათ მიერ საკუთარი უფლებებით სარგებლობის მხარდაჭერა, განსაკუთრებით, პერსონალური ინფორმაციისა და მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვისა და გამოხატვის თავისუფლების მიმართულებით;
- შემსწავლელების/მოსწავლეების აღჭურვა საკმარისი რესურსებით და ტექნოლოგიებზე მათი წვდომის ხელშეწყობა, რათა სწავლა იყოს ინკლუზიური და ხელმისაწვდომი ყველასთვის.

ოჯახები და ბავშვების აღზრდაზე პასუხისმგებელი პირები

იმისათვის, რომ ოჯახებსა და ბავშვების აღზრდაზე პასუხისმგებელ პირებს მიეცეთ შესაძლებლობა, თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ მოსწავლეების განათლებაში – როგორც ფორმალურ, ასევე, ფორმალურისგან განსხვავებულ გარემოში – და ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლებაში მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად და წახალისების მიზნით, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს შემდეგი:

- მოსწავლეთა განათლებაში ოჯახებისა და ბავშვების აღზრდაზე პასუხისმგებელი პირების ჩართვის საქმეში სკოლებისა და ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების წვლილის წახალისება და მათი როლის შესახებ ინფორმირებულობის დონის გაზრდა;
- ოჯახებისა და ბავშვების აღზრდაზე პასუხისმგებელი პირების ციფრული მოქალაქეობის უნარებისა და კომპეტენციების და მათი უწყვეტი და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის მნიშვნელობისა და როლის აღიარება;
- მშობლებისა თუ ბავშვების აღზრდაზე პასუხისმგებელი პირების ხელშეწყობა, რათა მათ უზრუნველყონ ციფრულ გარემოში ბავშვების გაძლიერება და ონლაინუსაფრთხოებასა და გაძლიერებას, დაცვასა და მონაწილეობას შორის სათანადო ბალანსის დაცვა.

განათლების სპეციალისტები და ადრეული ასაკის ბავშვთა აღზრდაზე პასუხისმგებელი სპეციალისტები

განათლების სპეციალისტებისა და ადრეული ასაკის ბავშვთა აღზრდაზე პასუხისმგებელი სპეციალისტების ხელშეწყობის მიზნით, რათა მათ შეძლონ თავიანთი წვლილის შეტანა ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლებაში, განათლებაზე პასუხისმგებელმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს შემდეგი:

- განათლების სპეციალისტების ხელშეწყობა, რათა მათ შეძლონ ციფრული მოქალაქეობისთვის აუცილებელი უნარებისა და კომპეტენციების გამოუმუშავება, მომზადებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ფარგლებში;
- ციფრულ ეპოქაში და საკლასო გარემოში განათლების სპეციალისტების როლის ხელახლა განსაზღვრა და აღიარება იმისა, რომ ისინი არამხოლოდ პედაგოგები არიან, არამედ თანამშრომლობის პრინციპით განხორციელებულ სასწავლო გარემოში მონაწილე პირებიც;
- თანამშრომლობისა და საუკეთესო პრაქტიკის, მათ შორის, პედაგოგიკური პრაქტიკის, სასწავლო რესურსებისა და შეფასების მეთოდების გაზიარების მხარდაჭერა;
- განათლების სპეციალისტებისა და ადრეული ასაკის ბავშვთა აღზრდაზე პასუხისმგებელი სპეციალისტების დამატებითი ძალისხმევის აღიარება, რომლის გაღებაც მათ უწევთ ციფრული მოქალაქეობის შესახებ სწავლების განხორციელებისთვის, და ამ მიმართულებით მათი ხელშეწყობა;
- სკოლების ხელმძღვანელობისა და ადმინისტრაციის წახალისება, რათა მათ უზრუნველყონ ოჯახების, ბავშვების აღზრდაზე პასუხისმგებელი პირების, განათლების სპეციალისტებისა და ადრეული ასაკის ბავშვთა აღზრდაზე პასუხისმგებელი სპეციალისტების, მოსწავლეების,

სკოლის სხვა თანამშრომლებისა და სკოლის საბჭოს წევრების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და საერთო სასკოლო მიდგომისა და დემოკრატიული სკოლის კულტურის დანერგვა;

- სკოლის ციფრული ტრანსფორმაციისათვის (ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლებისთვის) საჭირო სკოლის პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მხარდაჭერა, მოსწავლეებთან, განათლების სპეციალისტებთან, მშობლებთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან კონსულტაციების საშუალებით.

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ და უზრუნველყოფენ პლატფორმებს, ინსტრუმენტებსა და რესურსებს, რომლებიც ემსახურება მოქალაქეების გაძლიერებას, რათა მათ თავიანთი წვლილი შეიტანონ ყველა სფეროში, რომელიც ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლებას ეხება. მნიშვნელოვანია იმ როლის აღიარება და მხარდაჭერა, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოების სექტორი ასრულებს ზოგადი განათლებისა და ადრეული ასაკის ბავშვთა აღზრდის საქმეში. ასევე, საჭიროა სხვა სექტორებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა, განსაკუთრებით, ციფრულ მოქალაქეობასთან დაკავშირებული უნარებისა და ციფრული მოქალაქეობის შესახებ სწავლების მონიტორინგის, შეფასებისა და მხარდაჭერის მიმართულებით, აგრეთვე, ამ სფეროში წარმოებული კვლევების შედეგებისა და დასკვნების გავრცელების უზრუნველსაყოფად.

უნივერსიტეტები, კვლევითი ორგანიზაციები და საგანმანათლებლო დაწესებულებები თანაბრად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შემდეგი მიზნების მიღწევაში:

- მტკიცებულებაზე დაფუძნებული რესურსების შექმნისა და ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების მიმართულებით, პედაგოგიკისა და დიდაქტიკის სფეროში წარმოებული კვლევების ხელშეწყობა;
- ადგილობრივი რესურსების შექმნის მხარდაჭერა, სადაც შესაძლებელია, ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლებაში სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობისა და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად;
- სამეცნიერო-კვლევით საზოგადოებასა და სკოლებს შორის პარტნიორობის წახალისება, ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების სფეროში პედაგოგიკური სტრატეგიების, რესურსებისა და შედეგების მტკიცებულებაზე დაფუძნებული კვლევების ხელშეწყობის მიზნით;

- სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოების ჩართულობისა და საზოგადოების ინფორმირების ხელშეწყობა, ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

8. საერთაშორისო თანამშრომლობა

საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობა ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების შემუშავების მნიშვნელოვან დამატებით ასპექტს წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება აღნიშნული მიმართულების განხორციელების შესახებ არსებული ცოდნის, რესურსებისა და განსხვავებული მოსაზრებების გაზიარება და გავრცელება.

წევრ სახელმწიფოებს მოვუწოდებთ, გაუზიარონ საერთაშორისო ორგანიზაციებს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სფეროში, ასევე, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს ფარგლებში, ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, მათ მიერ გაწეული სამუშაოს შედეგები, რაც ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების როლისა და ზემოქმედების უკეთ გააზრებაში მათ მიერ შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი იქნება.

ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის მხარდაჭერა, შემდეგი მიზნების მისაღწევად:

- წევრ სახელმწიფოებს შორისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მათი თანამშრომლობის ხელშეწყობა, ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების სფეროში კვლევებისა და ღონისძიებების, არსებითი პრაქტიკისა და შეფასების შედეგების დანერგვის მიმართულებით, არსებული და შესაბამისი ქსელების, მექანიზმებისა და პროცესების გამოყენებით;
- წევრ სახელმწიფოებს შორის ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება, არსებითი პრაქტიკის უეთიერთგაზიარების, ურთიერთშეფასების წარმოებისა და/ან ერთობლივი კვლევითი პროექტების, შეფასების მეთოდოლოგიებისა და რესურსების შემუშავების მიზნით; და ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლებასთან დაკავშირებული ცოდნისა და რესურსების საცავის შექმნის ხელშეწყობა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს სასწავ-

ლო გეგმაში ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების გამჭოლი დისციპლინის ფორმით ხართვის მაგალითებს;

- მონაცემების რეგულარულად გაზიარებისა და შეგროვების მხარდაჭერა, ევროპის საბჭოს საინფორმაციო არხების გამოყენებით, რაც ხელს შეუწყობს ციფრული მოქალაქეობის შესახებ სწავლების ხარისხს განხორციელების დაგეგმვას;
- ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების ხართვა კარგად ცნობილ და ეროვნულ ან ადგილობრივ დონეზე წარმატებით დანერგილ ინიციატივებში;
- ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების ევროპული წლის გამოცხადების მხარდაჭერა.



დაგვიკავშირდით

მოგვწერეთ, რა გინტერესებთ

გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება,
იდეები, ინიციატივები

ჩვენ შევეცდებით, არცერთი შეკითხვა
არ დავტოვოთ უპასუხოდ

SKOLISMARTVA@TPDC.GE



